საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2020 წლის 26 ივნისი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №128/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 07 მაისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 05 სექტემბრის №128/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 26 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე -- -- წარმოებაში იყო -- --ის სარჩელი მოპასუხე -- --ს მიმართ. აღნიშნულ საქმეზე მოპასუხემ შესაგებელი სასამართლოში წარადგინა 2018 წლის 05 აპრილს. 2018 წლის 6, 7, 8 და 9 აპრილი იყო არასამუშაო დღეები, ხოლო 10 აპრილს, პირველივე სამუშაო დღეს, მოსამართლე -- -- მიიღო განჩინება საქმეზე მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ. ------ მტკიცებით, მოსამართლემ ისე გადაწყვიტა ეს საკითხი, რომ შესაგებელი საერთოდ არ ჰქონდა წაკითხული. მან ამით მხარეს მოუსპო მტკიცებულებების წარდგენის და შესაგებელზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა, რითაც აშკარად დაარღვია საპროცესო კანონმდებლობა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის 22 მარტს -- --ის წარმომადგენელმა, -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს -- --ს მიმართ და მოითხოვა, ზიანის ანაზღაურება -- -- ლარის ოდენობით. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2018 წლის 05 აპრილს მოპასუხემ სასამართლოს წარუდგინა შესაგებელი, რომლითაც არ დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას.

2018 წლის 10 აპრილის განჩინებით მოსამართლე -- -- ჩათვალა, რომ საქმე უკვე იყო მომზადებული და მთავარი სხდომა დანიშნა 2018 წლის 08 მაისს.

2018 წლის 08 მაისის სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა დააყენა მოსამართლის აცილების შუამდგომლობა მოსამართლე. -- -- საოქმო განჩინებით აღნიშნული შუამდგომლობა, უსაფუძვლობის

გამო, არ დაკმაყოფილდა (იმავე სხდომაზე მოსამართლემ მოსარჩელის კიდევ რამდენიმე შუამდგომლობა განიხილა და უარი უთხრა მას ამ შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე).

2018 წლის 08 მაისის გადაწყვეტილებით -- --ს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება 2018 წლის 20 ივნისს სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელის წარმომადგენელმა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 07 მაისის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავდა მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ („მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულება“) ქვეპუნქტით (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.“

ხსენებული ნორმის შინაარსიდან ცხადი ხდება, რომ სამოსამართლო უფლებამოსილების არაჯეროვნად, მიკერძოებულად განხორციელება შეიძლება განპირობებული იყოს სამი ძირითადი ფაქტორით. ესენია, საქმის განხილვის საბოლოო შედეგთან ან კონკრეტულ საპროცესო მოქმედებასთან დაკავშირებული მოსამართლის პირადი ინტერესი, მოსამართლის პოლიტიკური შეხედულებები ან/და სოციალური ზეგავლენა, რაც კონკრეტული საქმის გადაწყვეტის პროცესში მოსამართლის მიერ საზოგადოებრივი აზრით ნაკარნახევი ქმედების განხორციელებას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლის მხრიდან საქმისადმი პირადი ინტერესეს შემთხვევაში, ქმედება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს გადაცდომად, შეიძლება იყოს როგორც მოსამართლის მიკერძოებული დამოკიდებულება საქმის ერთ-ერთი მხარის მიმართ, ისე ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულება ან მოსამართლის მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა.

წინამდებარე საქმის ფარგლებში საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხება პირადი ინტერესის საფუძველზე საქმის განხილვის ერთ-ერთი მხარის მიმართ მოსამართლის მიკერძოებულ დამოკიდებულებას და ამ დამოკიდებულების საფუძველზე გარკვეული საპროცესო მოქმედებების განხორციელებას (სარჩელის გაცნობის გარეშე სარჩელის წარმოებაში მიღება და სასამართლო განხილვის სწრაფად ჩანიშვნა).

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი ადგენს სასამართლოში საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას. ხსენებული ნორმის პირველი პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, ყველას აქვს უფლება მისი საქმე განხილულ იქნას „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“ ცხადია, მოსამართლის პირადი დაინტერესება საქმის განხილვის მიმართ, გამორიცხავს სასამართლოს დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას და ამდენად, მოსამართლის პირადი ინტერესის შეფასებისას, მის მიერ კონკრეტული მხარის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების დადასტურება კონვენციის ხსენებული მუხლის საწინააღმდეგო ქმედებად უნდა შეფასდეს.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნაში (აბზ. 20) მიუკერძოებლობა განმარტებულია, როგორც სუბიექტური მიდგომების და ობიექტური კრიტერიუმების ერთობლიობა. მიუკერძოებლობა გაგებული უნდა იყოს „... სუბიექტური მიდგომების გათვალისწინებით, რომელშიც

მხედველობაში მიიღება ცალკეული მოსამართლის პირადი შეხედულებები და ინტერესები კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით...“

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნის 23-ე აბზაცის თანახმად, „მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები რაიმე სახის უპირატესობის, მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი განწყობის გარეშე,... მოსამართლეებმა პატივისცემა უნდა გამოიჩინონ საქმის მონაწილე ყველა პირისადმი რაიმე სახის განსხვავების გარეშე...“. მოსამართლეებმა იმგვარად უნდა განახორციელონ საკუთარი უფლებამოსილება, რომ „... მათი პროფესიული კომპეტენტურობა თვალსაჩინო იყოს.“ ხსენებული დასკვნის 21-ე აბზაცის მიხედვით, „მოსამართლეებმა ნებისმიერ გარემოში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და უზრუნველყონ, რომ მოქალაქეებს არ ჰქონდეთ კანონიერი საფუძველი დაეჭვდნენ მათ რაიმე სახის მიკერძოებაში.“

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის, „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები“-ს მეორე მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: „სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ზეწოლის, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე.“

მოყვანილ მსჯელობას განამტკიცებს „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“-ს მეორე ღირებულება, რომლის მიხედვით, „მოსამართლის მიუკერძოებლობა მის მიერ თავისი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების აუცილებელი პირობაა. ის ვრცელდება არა მხოლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსზე, არამედ იმ პროცესზეც, რომელიც წინ უძღვის გადაწყვეტილების მიღებას.“

„მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“-ს 2.2. პუნქტის თანახმად, „მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი ქცევა როგორც სასამართლოში, ასევე მის გარეთ იცავდეს და ამაღლებდეს მოსამართლის და სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ნდობას, როგორც საზოგადოების, ასევე იურიდიული პროფესიების და მხარეების მხრიდან.“

ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლის მიერ საქმეზე მთავარი სხდომის დანიშვნა იყო კანონსაწინააღმდეგო და მხარეთა საპროცესო უფლებების შემლახავი ქმედება. მოსამართლემ პირადი ინტერესის საფუძველზე დანიშნა სასამართლო სხდომა შესაგებელის მიღებიდან 5 დღეში.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხემ სასამართლოს შესაგებელი წარუდგინა 2018 წლის 05 აპრილს. მოსამართლემ საქმეზე მთავარი სხდომა დანიშნა 2018 წლის 10 აპრილის განჩინებით 2018 წლის 08 მაისს, რაც სრულად შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მოთხოვნას. საქმის განხილვის დროს მოსამართლის ქცევა არ იწვევდა კონკრეტული საქმისადმი მისი პირადი დაინტერესების ეჭვს და მოსამართლის ქმედება არ შეიძლება შეფასდეს როგორც დისციპლინური გადაცდომა.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გაითვალისწინა მოყვანილი არგუმენტები და აღნიშნულის გათვალისწინებით მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 26 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №128/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი